

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ

მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი

ეს დებულება განსაზღვრავს ადვოკატთა შესახებ კანონის 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის, “რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურების (შემდგომში - მედიაცია) განხორციელების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. მედიაციას დაქვემდებარებული დავა

მედიაცია შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ დავაზე მხარეთა ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, როცა არსებობს დავა ასოციაციის წევრებს შორის ან წევრსა და მის კლიენტს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს წევრის დისციპლინირებას.

მუხლი 3. მედიაციის პრინციპები

მედიაცია ეფუძნება ნებაყოფლობითობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობის, კონფიდენციალურობის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მედიაციის პროცესში წამოჭრილი საკითხები, რომლებიც ამ დებულებით არ არის მონესრიგებული, უნდა გადაწყდეს მედიაციის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 4. მედიატორის არჩევა/დანიშვნა

1. მედიაციას ახორციელებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (შემდგომში - საბჭო) თავისი წევრების მეშვეობით.
2. მედიაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე საბჭოს წევრის მიერ მხარეთა შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს მოლავე მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საბჭოს წევრზე, საბჭოს მედიატორი წევრის შერჩევაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.

მუხლი 5. ინფორმაციის მიწოდება და ინტერესთა კონფლიქტი

მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან მისი დაწყების შემდეგ, ნებისმიერ ეტაპზე, შესაბამისი გარემოების გამოვლენისთანავე, შეატყობინოს მხარეებს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ასეთი გარემოებების არსებობის მიუხედავად, პირი შეიძლება იყოს მედიატორი, თუ მხარეები ამის შესახებ განაცხადებენ წერილობით თანხმობას. მედიატორს უფლება აქვს ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მხარეთა თანხმობის მიუხედავად, უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე.

მუხლი 6. მედიაციის დაწყება

1. საბჭო დავის მხარეთა მორიგებით დასრულების მიზნით მედიაციას იწყებს ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ ასოციაციის თავმჯდომარისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში.
2. მედიაციის პროცესის დაწყებითა და დავის მორიგებით გადაწყვეტით დაინტერესებული მხარე (მხარეები) წარმოადგენს ასოციაციის თავმჯდომარის სახელზე განცხადებას, სადაც მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
 - (ა) მხარის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
 - (ბ) დავის საგნის მოკლე აღწერა;
 - (გ) მედიაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ან მასალების მიწოდების შესახებ მხარის თანხმობა;
 - (დ) მხარის ხელმოწერა და თარიღი.
3. მედიაციის პროცესის დაწყებისთვის აუცილებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობა.
4. მხარე უფლებამოსილია მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მედიაციაში მონაწილეობაზე.

მუხლი 7. მედიაციის პროცედურა

1. მედიაციის პროცესის წარმართვის საფუძველს წარმოადგენს მხარეთა ორმხრივი სურვილი მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში და მედიაციის წესების შესახებ შეთანხმება.
2. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მედიატორი თავად განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის წესს დავის ეფექტიანად მოგვარების მიზნით, დავის გარემოებებისა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.
3. მედიაციის ვადა შეადგენს 30 დღეს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით.
4. მხარეებს უფლება აქვთ მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიიღონ ადვოკატის მეშვეობით. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მედიატორი უფლებამოსილია მოითხოვოს მედიაციის

**დამტკიცებულია სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 28.02.2018 წლის გადაწყვეტილებით**

პროცესში მხარის/მხარეთა უშუალო მონაწილეობა. ეთიკის კომისიის ან აღმასრულებელი საბჭოს წევრებს ეკრძალებათ მხარის წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში.

5. მედიაცია წარმართება სახელმწიფო ენაზე. მხარეთა ინიციატივით ან საჭიროებიდან გამომდინარე მონვეული თარჯიმნის ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს მხარე.

6. მედიაციის წარმართვა შესაძლებელია მედიატორის მიერ როგორც მხარეებთან ერთობლივი, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის მეშვეობით.

7. მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში როგორც მედიაციის პროცესის, ისე მისი საბოლოო შედეგის მიმართ მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის გათვალისწინებით. მედიატორს არ აქვს უფლება მხარეთა შორის არსებულ დავაზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

8. მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, მედიატორმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები, მხარეთა ინტერესებისა და მედიაციის პროცესში მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით.

მუხლი 8. მედიაციის დასრულება

1. მედიაცია დასრულებულად ითვლება, თუ:

- (ა) მხარეები წერილობით შეთანხმდნენ დავის მორიგებით დასრულების შესახებ;
- (ბ) მხარეები შეთანხმდნენ მედიაციის შეწყვეტის შესახებ;
- (გ) ერთ-ერთი მხარე უარს აცხადებს მედიაციაში მონაწილეობის გაგრძელებაზე;
- (დ) ამოიწურა მედიაციისათვის განსაზღვრული ვადა;
- (ე) მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორი განაცხადებს, რომ მედიაციის გაგრძელება აღარ არის გონივრული და გამართლებული.

2. მხარეები ან/და მათი წარმომადგენლები თავად უზრუნველყოფენ სამედიაციო მორიგების შედგენას.

3. სამედიაციო მორიგება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერენ მხარეები.

4. იმ შემთხვევაში თუ საქმის მედიაციისთვის გადაცემა ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების შეჩერების საფუძველი გახდა, ინფორმაცია მედიაციის დასრულების შესახებ აღმასრულებელი საბჭოს მიერ ეცნობება ეთიკის კომისიის საქმის განმხილველ კოლეგიას.

მუხლი 9. მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა

1. მედიაციის პროცესი, ისე როგორც თავად მედიაციის მიმდინარეობის ფაქტი კონფიდენციალურია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოდავე მხარეები გამოთქვამენ სურვილს პროცესის გასაჯაროებისა. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია მედიაციის მიმდინარეობისას ან სხვაგვარად უკავშირდება მედიაციის პროცესს, თუ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარის/მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია არ შეიძლება მედიაციის მონაწილეების მიერ გამოყენებულ იქნეს სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოების დროს, ან დავის სხვა ნებისმიერი საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. კონფიდენციალობის ვალდებულება ძალაშია მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 10. მედიაციის ხარჯები

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის წარმართვას საზოგადოებრივ საწყისებზე. მხარეთა ადვოკატის, თარჯიმნის და მათ მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს თავად მოწვევის ინიციატორი მხარე.

მუხლი 11. სამედიაციო მორიგების აღსრულება

სამედიაციო მორიგება ექვემდებარება ნებაყოფლობით აღსრულებას.